საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2617 2015 წლის 4 დეკემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სააქციო საზოგადოება „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ამ განკარგულების დანართში მითითებული ქონება პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეს სააქციო საზოგადოება „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენს“ (სკ: №203845312).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში;

ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემული ქონების გამოყენება ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობის განხორციელების მიზნით.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

მისამართი	მილსადენის სიგრძე	ობიექტის აღწერა	საკადასტრო კოდი
სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბოდბე და სოფელი მაღარო	32183 მეტრი	**საშუალო წნევის გაზსადენი - 5713 მეტრი** (მიწისქვეშა D200-358 მ, მიწისზედა D100-1817მ, D200-2622მ, D75 - 916მ) **დაბალი წნევის გაზსადენი - 26469 მეტრი** (მიწისქვეშა D100-353 მ, მიწისზედა D100-6823 მ, მიწისზედა D150 - 777 მ, მიწისზედა D200 - 4104 მ, მიწისზედა D50-10146 მ, მიწისზედა D75 - 4266მ.)	N56.00.040